

## საბადოების გეოლოგიისა და ძიების (ყოფილი 28 კათედრა) მიმართულების ისტორია

მიმართულება თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის პირდაპირი მემკვიდრეა. ამ უმაღლესი სასწავლებლის უფროსმა მასწავლებელმა, ციმბირიდან 1924 წელს სამშობლოში დაბრუნებულმა ბატონმა კალისტრატე გაბუნიაძემ 1926 წელს ჩამოაყალიბა გამოყენებითი გეოლოგიის კათედრა, რომლის ხელმძღვანელობაც თვითონ იკისრა. 1928 წელს, თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტისა და 1917 წელს დაფუძნებული რუსულენოვანი საინჟინრო უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანების შედეგად, ჩამოყალიბდა ახალი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი – საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი. ინსტიტუტში პირდაპირ გადავიდა უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის კათედრა პროფესორ კ. გაბუნიას ხელმძღვანელობით. ბატონი კალისტრატეს უდროოდ (49 წლის ასაკში) გარდაცვალების შემდეგ კათედრას ხელმძღვანელობდნენ: 1937-56 წლებში – აკადემიკოსი პ. გამყრელიძე, 1956-67 წწ. – დოცენტი გ.ავალიანი, 1967-80 წ.წ. – დოცენტი გ.ტოგონიძე, 1980- 1991 წ.წ. – პროფესორი შ.ჯავახიშვილი, 1991-1997 წ.წ. – პროფესორი ზ.ოთხმეზური, 1997 წლიდან დღემდე ჯერ კათედრას, ხოლო 2007 წლიდან მიმართულებას ხელმძღვანელობს პროფესორი ნ.ქაჯაია.

ამ კათედრამ (მიმართულებამ) თავისი არსებობის მანძილზე მოამზადა და გამოუშვა რამდენიმე ათასი სამთო ინჟინერგეოლოგი გამოყენებით გეოლოგიაში. მათ შორის არიან როგორც წარმოების ხელმძღვანელები – ბ.გუჯეჯიანი, თ.ჯანელიძე და სხვ., ასევე გამოჩენილი მეცნიერები: აკადემიკოსები გ.თვალჭრელიძე და ე.გამყრელიძე; აკადემიის წევრ-კორესპონდენტები გ.ზარიძე, მ.თოფჩიშვილი, დ.შენგელია და მეცნიერებათა დოქტორები – ვ.რ.ნადირაძე, შ.ჯავახიშვილი და მრავალი სხვა.

კათედრაზე მოღვაწეობდნენ აკადემიკოსები პეტრე და ერეკლე გამყრელიძეები, გ. თვალჭრელიძე; ღვაწლმოსილი პროფესორები ა. ბენდელიანი, ვ.რ. ნადირაძე, გ. ქომეთიანი, მ.აბაკელია, მ.ნ. ჯაფარიძე, შ.ჯავახიშვილი, ზ. ოთხმეზური, ვ. გელიეშვილი, დოცენტები ტ. ზაგიუ, ნ. გაბაშვილი (ნიჟარაძე) და მრავალი სხვა გამოჩენილი პედაგოგი.

მიმართულება ამზადებს დიპლომირებულ სპეციალისტებს, ბაკალავრებს, მაგისტრებს და დოქტორანტებს სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გეოლოგიისა და ძებნა-ძიების სპეციალობით. იგი საქართველოში სამაგისტრო სწავლების პიონერია – ეს სპეციალობა 1996 წელს დაამთავრეს ქვეყანაში პირველმა მაგისტრებმა. მათგან ერთ-ერთმა აქვე მოამზადა და 2001 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია გეოლოგია-მინერალოგიაში. 2009 წლამდე კურსდამთავრებული მაგისტრების 75% სპეციალობით მუშაობს ისეთ ორგანიზაციებში, როგორცაა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – 3;
2. გეოლოგიის ინსტიტუტი – 2;
3. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო – 3;
4. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 1;
5. მადნეულის სამთო კომბინატი – 2;
6. აჭარის გეოლოგიური სამსახური – 1;
7. „კანარგო ჯორჯია“ – 1.